

„საქართველოს კარიტასი“
წლიური ანგარიში
2014 წ.

ახალგაზრდული პროგრამა

1. მიუსაფარი ბავშვები

ა) **მობილური ჯგუფი** - დაკომპლექტებულია სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, თანასწორ განმანათლებლისა და მძღოლისგან. მუშაობა მიმდინარეობს უშუალოდ ქუჩაში მიუსაფარ ბავშვთა თავშეყრის, მათ სამუშაო თუ საცხოვრებელ ადგილებში (ქ. თბილისი). მობილური ჯგუფის საქმიანობა გულისხმობს მიუსაფარ ბავშვთა გამოამკარავებას, მათი ნდობის მოპოვებასა და მათთან ურთიერთობის დამყარებას, შემდგომში მათი დღის ცენტრებსა თუ ზრუნვის სხვა გრძელვადიან ფორმებში განთავსების მიზნით.

ბ) **დღის ცენტრი/კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი** (ქ. თბილისი) - ახდენს მობილური ჯგუფებიდან გადმომისამართებულ ბავშვთა შეფასებას, სთავაზობს მათ ფსიქოლოგიურ და სამედიცინო დახმარებას, უზრუნველყოფს ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მიწოდებას საბავშვო სერვისებში მათი ეტაპობრივად ჩარიცხვისა თუ ზრუნვის გრძელვადიან ფორმებში განთავსების მიზნით.

გ) **24 საათიანი ტრანზიტული ცენტრი** (ქ. რუსთავი) - მიუსაფარი ბავშვების ზრუნვის გრძელვადიანი ფორმებისათვის (ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია, მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები) მოსამზადებლად სთავაზობს სადღეღამისო სარეაბილიტაციო, სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურებას. 2014 წელს „საქართველოს კარიტასმა“ დახმარება გაუწია **314 მიუსაფარ ბავშვს**.

2. **მცირე საოჯახო ტიპის სახლები** - ემსახურება (6-დან 18 წლამდე) მზრუნველობამოკლებულ და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებს, სთავაზობს მათ სადღეღამისო მომსახურებას ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში. „საქართველოს კარიტასი“ უძღვება 6 საოჯახო ტიპის სახლს (5 თბილისში, 1 სოფ. მარტყოფში). თითოეულ სახლში ათამდე მოზარდი ცხოვრობს, გამონაკლისი მხოლოდ მარტყოფის სახლია, სადაც ბავშვთა რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვინაიდან სახლის ყველა ბინადარი უნარშეზღუდულია.

3. **დღის ცენტრები** - ფსიქოლოგიურ დახმარებასთან ერთად სთავაზობს სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ოჯახების ბავშვებს (6-დან 18 წლამდე) დამატებით განათლებას, აკადემიური საჭიროებების დაკმაყოფილებას, სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას. „საქართველოს კარიტასის“ დღის ცენტრები ფუნქციონირებს თბილისში (150 ბენეფიციარი), ქუთაისსა (110 ბენეფიციარი) და სოფ. არალში- სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (90 ბენეფიციარი).

ადვოკატირების პოლიტიკის გაღრმავება:

2007 წლიდან „საქართველოს კარიტასი“ ბავშვთა ზრუნვის სერვისების გაუმჯობესების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ეწევა ადვოკატირების პოლიტიკას. ეროვნული პოლიტიკის განვითარებისათვის, მონაწილეობას იღებს ასევე სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში. საქართველოს მთავრობა თბილისისა და ქუთაისის დღის ცენტრებს ვაუჩერული სისტემით აფინანსებს. ვაუჩერული სისტემით, დაახლოებით 67-70%-ით ფინანსდება მცირე საოჯახო ტიპის სახლებიც. 2014 წლიდან, სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ დახმარებას მიუსაფარ ბავშვებზე ზრუნვის სერვისებიც იღებენ¹.

მოხალისეობრივი საქმიანობის გაღრმავება:

ახალგაზრდულ პროექტებში მოხალისეობრივი საქმიანობა 2014 წელსაც აქტიურად მიმდინარეობდა. ორი მოხალისე ჩართული იყო მცირე საოჯახო ტიპის სახლების საქმიანობაში: კერძების მომზადება, მეცადინეობების ჩატარება, სხვადასხვა კულტურული თუ გასართობი ღონისძიებების ორგანიზება. 2014 წლის აგვისტოში, ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის ბენეფიციართათვის მოწყობილ საერთაშორისო საზაფხულო ბანაკში ჩართო 35 ადგილობრივი და უცხოელი მოხალისე. მიუსაფარ ბავშვებთან მუშაობაშიც აქტიურად იყვნენ ჩართული მოხალისეები: 2014 წელს 40 მოხალისემ მიიღო მონაწილეობა საინფორმაციო მასალის დარიცხვაში, რადიო თუ სატელევიზიო პროგრამებში, ბენეფიციართათვის გასართობი საქმიანობების ორგანიზებასა და „საქ. კარიტასის“ მიუსაფარი ბავშვების საკეთილდღეოდ მიმართული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

2015 წელს გასავლელი გზა:

იგეგმება სოფ. ემტიაში, ბავრაში, წინუბანში და ვალეში ახალგაზრდული საქმიანობის დაწყება.

¹ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში.

ჯანდაცვა და სოციალური საქმიანობა

1. პირველადი ჯანდაცვა

ა) პირველადი ჯანდაცვის ცენტრები (თბილისში, ქუთაისში) უზრუნველყოფს სამედიცინო სერვისის მიწოდებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამითა და სადაზღვევო პაკეტით. 2014 წელს დახმარება გავუწიეთ 2.424 პაციენტს. ბენეფიციარებს ხელი მიუწვდებოდა უფასო სამედიცინო კონსულტაციებზე, გამოკვლევებსა და მედიკამენტებზე.

ბ) მედ-პუნქტებმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ხიზაბავრა, ნაოხრები, არალი, უდე და ვალე) სამედიცინო სერვისი მიაწოდა და მედიკამენტებით უზრუნველყო 600 პაციენტი. 2014 წლის ოქტომბერში, „საქართველოს კარიტასმა, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, ახალი მედ-პუნქტი გახსნა მაღალმთიან სოფელ ტამბოვკაში.

გ) მოზილური სამედიცინო ჯგუფი დაავადების ადრეულ სტადიაზე დიაგნოსტიკის მიზნით, მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობას უტარებს სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევებს. 2014 წელს, ორი ვიზიტი განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლებში: ვალესა და ხიზაბავრაში. გამოკვლევები ჩაუტარდა 274 პაციენტს და დარიგდა შესაბამისი მედიკამენტები.

დ) 2014 წელს თბილისის სარეაბილიტაციო ცენტრმა სამედიცინო დახმარება გაუწია 184 ადამიანს. პროცედურები ტარდება როგორც სარეაბილიტაციო ცენტრში ასევე ბინაზე.

2. „შინმოვლის“ პროექტი ითვალისწინებს დავრდომილთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო, სოციალურ და ფსიქოლოგიურ დახმარებას (ფუნქციონირებს ქ. თბილისში - 396 ბენეფიციარი, ქ. ქუთაისში - 96 ბენეფიციარი,

ქ. რუსთავში - 63 ბენეფიციარი, ოზურგეთსა (64) და გორში - 200). ზემოაღნიშნული მომსახურების მიწოდების გარდა, „საქართველოს კარიტასმა“ პრიორიტეტად დაისახა სამედიცინო სტუდენტებისა და ექთნებისათვის ტრენინგების ჩატარება. ამჟამად იგი ამ სფეროში მაღალი ხარისხის პროდუქციის მიმწოდებელია (2014 წელს ტრენინგები გაიარა 250 სტუდენტმა და 60 ექთანმა).

3. სხვა სოციალურად დაუცველ ფენებს შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი მომსახურებით:

ა) უპოვართა სასადილო თბილისში ემსახურება ჯამში 194 ბენეფიციარს, ქუთაისში 31 მასამდე მოემსახურა 40 ბენეფიციარს. ქუთაისსა და ოზურგეთში მოქმედებს სიღარიბის ღვარს მიღმა მცხოვრებ პირთათვის საკვების ბინაზე მიწოდების სერვისი (შესაბამისად 35 და 25 ბენეფიციარი).

ბ) დღის ცენტრი „ჰარმონია“ (ქ. თბილისი) - ყოველდღიურად მასპინძლობს 35 მარტოხელა ხანდაზმულ ადამიანს. აქ მათ ელოდება მყუდრო და კეთილგანწყობილი გარემო. მომსახურება გულისხმობს ცხელი საკვებითა და სამხრით უზრუნველყოფას.

გ) ბათუმის ღამის თავშესაფარი (ქ. ბათუმი) - 28-30 უსახლკარო ადამიანს უზრუნველყოფს ღამის თავშესაფრითა და საკვებით. უწევს იურიდიულ დახმარებასა და კონსულტაციას, სთავაზობს შხაპის მიღებისა და სამრეცხაოთი სარგებლობის საშუალებას.

დ) „იმედის სახლი“ (ხელვაჩაურის რაიონი) - ნარკოტიკებსა თუ ალკოჰოლოზე დამოკიდებულ 6 ახალგაზრდას სთავაზობს კონსულტაციას. ბენეფიციარებს შრომითი თერაპიის საშუალებით (ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა) ეძლევათ რეაბილიტაციის შანსი.

ადვოკატირების პოლიტიკის გადრმავება:

ვინაიდან „შინმოვლის“ პროექტის ზოგადი მიზანია, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში „შინმოვლის“ სერვისების ინტეგრაცია, „საქართველოს კარიტასმა“, ჯანდაცვის სამინისტროსა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, დაიწყო სამუშაო ჯგუფების შექმნა „შინმოვლის“ სერვისის სტანდარტების განვითარებისათვის. განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით „საქართველოს კარიტასმა“ ექთნების საგანმანათლებლო პროგრამისათვის შეიმუშავა „შინმოვლის“ სტანდარტების სილაბუსები. ძალისხმევა არ დავიშურეთ თბილისისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებისგან პროექტის ნაწილობრივი დაფინანსების მოსაპოვებლად.

მოხალისეობრივი საქმიანობის გადრმავება:

2014 წელს, თბილისის „შინმოვლის“ პროექტში ჩართული იყო 21 მოხალისე. საერთო ჯამში განხორციელდა 615 ვიზიტი და 872 საქმიანობა როგორც: მედიკამენტების დარიგება, პაციენტებისათვის პროდუქტების შესყიდვა და ა.შ. მოხალისეებს ჩაუტარდათ ტრენინგები „შინმოვლის“ უნარ-ჩვევებში. დასავლეთ საქართველოში ერთი უცხოელი მოხალისე ჩართული იყო სოციალური პროექტების საქმიანობაში.

2015 წელს გასავლელი გზა:

პირველადი ჯანდაცვის სფეროში იგეგმება ადვოკატირებისა და ლობირების საქმიანობის გაძლიერება, ქუთაისისა და ოზურგეთის ექთნებისათვის „ტრენინგების ტრენინგთა“ ჩატარება.

სოციო- პასტორალური საქმიანობა

1. ფორმაციული მუშაობა კარიტასის სამრევლო ჯგუფებთან. თითოეული შეხვედრა მიემდგვნა ამა თუ იმ თემას, რომელიც დაკავშირებული იყო ეკლესიის სოციალურ სწავლებასთან. სამუშაო მიზანმიმართული იყო მრევლში საქველმოქმედო საქმიანობის შთაგონებისკენ. 2014 წელს გაიმართა 3 ფორმაციული შეხვედრა. თითოეულ შეხვედრას ესწრებოდა 15-მდე ადამიანი, სამი თბილისისა და ერთი გორის სამრევლოდან.
2. **სხვადასხვა საქმიანობები მოხალისეთა მონაწილეობით:**

 - ა) 2014 წლის იანვრიდან აპრილამდე და 2014 წლის დეკემბერში, სოციო-პასტორალურმა პროგრამამ მოხალისეები გააერთიანა აქციაში „წვნიანი უსახლკაროებს“. მოხალისეებმა მოამზადეს ცხელი კერძები და დაურიგეს თბილისის რკინიგზის ცენტრალურ სადგურზე მყოფ უსახლკაროებს. კვირაში სამჯერ მოხალისეები ცხელი კერძებით უმასპინძლებოდნენ 40 უსახლკარო ადამიანს.
 - ბ) **ტანსაცმლის დარიგების პუნქტი** 2014 წელსაც განაგრძობდა მუშაობას. ამ პროცესში ჩართული იყო 4-5 მოხალისე კვირაში ორჯერ რამოდენიმე საათით. ყოველ დღე ტანსაცმელი გაიცემოდა 20 ბენეფიციარზე. ადგილობრივ მოხალისეებს ეხმარება ერთი უცხოელი მოხალისე. ბენეფიციარები ტანსაცმელს ღებულობდნენ ე.წ. „ქულების“ სისტემის მეშვეობით. ეს სისტემა შეიმუშავა „საქართველოს კარიტასმა“ და ეფუძნება ბენეფიციართა ფინანსურ, მატერიალურ და სოციალურ რესურსებს.
 - გ) **მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა** ამ წელს ფორმაციული შეხვედრების მეშვეობით განხორციელდა (ხშირად იმართებოდა მოხალისეთა საზაფხულო ბანაკების დაწყებამდე). „საქართველოს კარიტასში“ ჩამოყალიბდა მოხალისეთა ცენტრი (მოხდა მისი ჩართვა მოხალისეთა ცენტრების ქსელში).
 - დ) 2014 წელს, რამოდენიმე საზაფხულო ბანაკი მოეწყო ხიზაბავრაში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ხიზაბავრაში (კახეთის რეგიონი), ქუთაისსა და თბილისში. ბანაკში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი და უცხოელი მოხალისეები 7 დან 30 დღემდე.
 - ე) ყოველი პასტორალური წლის დასაწისში იმართება **მოხალისეთა ფორუმი**. ყველა მოხალისეს, რომელიც მთელი წლის მანძილზე ჩართული იყო ნებისმიერ მოხალისეობრივ საქმიანობაში, შეუძლია ფორუმში მონაწილეობის მიღება. ფორუმზე მოხალისეები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ სამუშაო გამოცდილებას, განიხილავენ პრობლემებს რომელსაც წააწყდნენ წლის განმავლობაში და სახავენ სამომავლო გეგმებს. 2014 წელს, ფორუმში მონაწილეობა მიიღო 32 მოხალისემ საქართველოდან, იტალიიდან და პოლონეთიდან.
3. **ფორმაციული შეხვედრები „კარიტასის“ თანამშრომლებისათვის.** 2014 წელს ჩატარდა 7 შეხვედრა „კარიტასის“ თანამშრომლების საქველმოქმედო საქმიანობის სულიერი მხარის განვითარებისა და მათი შთაგონების მიზნით. თითოეული შეხვედრა სამ დღეს გაგრძელდა და ეხებოდა ამა თუ იმ თემას. შეხვედრის თემები იყო: „რწმენა და შრომა“, „იმედი და ქონება“ „ქველმოქმედება და განვითარება“. შეხვედრები მოიცავდა: ლექციებს, ბიბლიურ შთაგონებას, სამუშაო ჯგუფებს, პრეზენტაციებს. თითოეულ შეხვედრაში მონაწილეობდა 20-დან 27 კარიტასის თანამშრომელი.
4. ორგანიზება გაუკეთდა ასევე **„გიდების კურსის“** პროექტს. პროექტი გათვლილი იყო 18-დან 28 წლამდე ახალგაზრდებისათვის (ქ. თბილისი). ქ. გორში განხორციელდა „ჭრა-კერვისა და ქარგვს კურსების“ პროექტი. პროექტი მიმართული იყო გაჭირვებული ქალების საკეთილდღეოდ, ბევრი მათგანი ატარებს დევნილის სტატუსს.

განვითარებითი და გადაუდებელი დახმარების პროგრამა

1. 2014 წლის დეკემბერში დასრულდა სამწლიანი პროექტი: **„შესზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები: საზოგადოების განუყოფელი და პატივსაცემი ჯგუფი“**. პროექტი დააფინანსა ჩეხეთის განვითარების სააგენტომ და განხორციელდა „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის“ მიერ „საქართველოს კარიტასთან“, „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, „საქართველოს სოციალური მუშაკთა“ ასოციაციასთან თანამშრომლობით. პროექტის მიზანი იყო შესზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დისკრიმინაციისა და სოციალური გარიყულობის შემცირება, მათი სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა სამუშაო პროცესში მათი აქტიური ჩართვის გზით. საქართველოში მცხოვრები ყველა უნარშეზღუდული პირი ამ პროექტის პოტენციური ბენეფიციარია, ვინაიდან შეუძლიათ ისარგებლონ გაუმჯობესებული კანონმდებლობით.
2. 2014 წლის ნოემბერში, ტრენტოს ავტონომიური პროვინციის (იტალია) მხარდაჭერითა და საზოგადოებრივ კოლეჯ „მერსმისთან“ თანამშრომლობით (ქ. თბილისი) წამოვიწყეთ სამწლიანი პროექტი: „ახალგაზრდების პროფესიული სწავლება „საქართველოს კარიტასის“ სადურღლო სახელოსნოში“. ზემოაღნიშნული ინიციატივის ფარგლებში 9 ახალგაზრდას ხელმოკლე ოჯახებიდან (ქუთაისი, ახალციხე, კასპი და თბილისი) საშუალება აქვთ მიიღონ პროფესიული განათლება და მომავალში ჰქონდეთ სტაბილური შემოსავლის წყარო.
3. გასული წლების მსგავსად, 2014 წელსაც გაგრძელდა „ბელგიიდან და ნიდერლანდებიდან ნებაყოფლობით დაბრუნებულთა რეინტეგრაციის“ პროექტი. პროექტი ხორციელდება „ბელგიის კარიტასისა“ და ჰოლანდიური ორგანიზაცია „Maatwerk“-თან თანამშრომლობით, მხარს უჭერს „ევროგაერთიანების ფონდი“, ბელგიისა და ნიდერლანდების დროებით თავშესაფართა მამიებელთა სახელმწიფო სააგენტო. პროექტი მატერიალურ დახმარებას სთავაზობს ქართველ მიგრანტებს, რომლებიც ნებაყოფლობით გადაწყვეტენ სამშობლოში დაბრუნებას. 2014 წელს ბელგიიდან 32 შემთხვევა დაფიქსირდა (37 ადამიანი), ხოლო სამი შემთხვევა ნიდერლანდებიდან (7 ადამიანი).
4. 2014 წელს, ევროპის კარიტასის „კარიტასის განვითარებით ფონდის“ ფარგლებში „საქართველოს კარიტასმა“ დახმარება მიიღო „ავსტრიის კარიტასისგან“. ეს წელი იყო მოსამზადებელი ფაზა სამწლიანი განაცხადისათვის, რომელიც „საქართველოს კარიტასმა“ შეიმუშავა (2015-2016-2017წწ.) ორგანიზაციული განვითარებითი გეგმის მხარდასაჭერად. ამასთან დაკავშირებით, 2014 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა გახლდათ ორ დღიანი თვითშეფასების სხდომები, რომელიც იყო პირველი კონკრეტულად გადადგმული ნაბიჯი „საქართველოს კარიტასის“ ორგანიზაციული განვითარების გეგმის შესამუშავებლად.
5. „საქართველოს კარიტასის“ გადაუდებელი დახმარების პროგრამის ფარგლებში, 2014 წლის სექტემბერის თვეში, „რუმინეთის კარიტასის კონფედერაციასთან“ თანამშრომლობით ამოქმედდა რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, განვითარებითი სააგენტოსა მიერ დაფინანსებული პროექტი **„საგანგებო სიტუაციებში რისკების შემცირება - გზა საქართველოში მდგრადი განვითარებისათვის“**. პროექტის ძირითადი მიზანი მდგრადობის სამხრეთ საქართველოს სოფლებში დასახლებული თემი გახადოს მეტად მდგრადი კლიმატური ცვლილებების შედეგად გამოწვეული სტიქიური უბედურებებისადმი, შეამციროს ამ მოვლენებით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენა ამ თემების ეკონომიკურ თუ ადამიანურ განვითარებაზე.

გასაღრმავებელია ადვოკატირების პოლიტიკა:

„შესზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა“ პროექტის მთავარი შედეგი გახლდათ „შესზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ შემუშავება, რომელიც შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. სტრატეგია, მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მიზნით წარედგინა მთავრობას, სხვადასხვა კომიტეტებსა და საქართველოს პარლამენტს. ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობას მუშაობა ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, კანონმდებლობაში შესაძლო ცვლილებების შეტანის კუთხით.

გასაღრმავებელია მოხალისეობრივი საქმიანობა:

„შესზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების“ პროექტში 15-მდე მოხალისე იყო ჩართული, ისინი სწავლობენ თუ როგორ გამხდარიყვნენ სოც. მუშაკები, ეხმარებოდნენ ბენეფიციარებს სამუშაო ადგილებში წაყვანასა და მოყვანაში.

2015 წელს გასავლელი გზა:

იგეგმება „კარიტასის განვითარებითი გეგმის“ პროექტის დაწყება (2015-2016-2017 წწ.)